MES 7 22 0000752428

04/07/2022

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:
1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:
დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მანანა ჯინჭარაძე - - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პერტე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
ია გიგიბერია - შპს ქართული სასწავლებლის - თბილისის მასწავლებელი, ქიმიის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
ნინო ჟვანია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
თამარ შენგელია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
მზია ყანჩელი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
გვანცა მეტრეველი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;

დავით მღებრიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:
შპსლაზარე
ნუგზარ მაისურაძე - სკოლის დირექტორი

შპს თბილისის ნიჭიერთა კერძო სკოლა-აკადემია
ლევან ტიკაძე - სკოლის დირექტორი

შპს კერძო სკოლა ივერონი
მარიამ დარჩაშვილი - სკოლის დირექტორი

შპს თამარიონი
თათია გურგენიძე - სკოლის წარმომადგენელი

შპს ვახტანგ ესვანჯიას სახელობის იტალიური სკოლა ცისკარი
მაია ლაგვილავა - სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერ ტები):
შპს ლაზარე
მაკა ტუკვაძე
მაგდა ბარამიძე

შპს თბილისის ნიჭიერთა კერძო სკოლა-აკადემია

ლელა ჯაში
იზაბელა იოსელიანი

შპს კერძო სკოლა ივერონი

ლელა ჯაში
ნანა ედიშერაშვილი

შპს თამარიონი

ნოდარ ანგურიძე
მარიამ ხუციშვილი

შპს ვახტანგ ესვანჯიას სახელობის იტალიური სკოლა ცისკარი

ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილი
იზაბელა იოსელიანი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 17-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა 2022 წლის 20 ივნისს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 15:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 17-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 20-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს ლაზარეს ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს თბილისი ნიჭიერთა კერძო სკოლა-აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს ივერონის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს თამარიონის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. შპს ვახტანგ ესვანჯიას სახელობის იტალიური სკოლა ცისკარის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. **შპს ლაზარეს ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს ჰკითხა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან დაკავშირებით . საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად,

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ.
ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 27 და 28 აპრილს, ქალაქ რუსთავში. მისი განმარტებით, დაწესებულება აქტიურად თანამშრომლობდა ექსპერტებთან.
მაკა ტუკვაძის თქმით, სკოლაში ტარდებოდა კალიგრაფიის კონკურსი, რომელშიც მონაწილეობის მიღება შეეძლო ქვემო ქართლის საჯარო და კერძო სკოლებს. დაწესებულებაში ფუნქციონირებდა მათემატიკის შაბათის სკოლა, ქალაქ რუსთავის სკოლის მოსწავლეებისთვის. ექსპერტის თქმით, სკოლის საუკეთესო პრაქტიკა იყო პროფესიული ორიენტაციის გაკვეთილები, რომელსაც ხელმძღვანელობდა დირექტორი. პროფესიული ორიენტაციის გაკვეთილებს მხარდაჭერას უცხადებდა კავკასიის უნივერსიტეტი.
ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ განაცხადა, რომ წინა ავტორიზაციის ვიზიტის დროს გაცემული იყო რეკომენდაცია შემაჯამებელი დავალებების ანალიზთან დაკავშირებით. ექსპერტის განმარტებით, მიმდინარე ვიზიტის დროს დაწესებულებას გამოსწორებული ჰქონდა აღნიშნული საკითხი და სრულყოფილად ჰქონდა წარმოდგენილი შემაჯამებელი დავალებების ანალიზი. ექსპერტის განმარტებით, სკოლა არ იყო ჩართული ახალი სკოლის მოდელის განხორციელების პროცესში, მაგრამ დაწესებულების პერსონალი აქტიურად იყენებდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შეთავაზებულ სხვადასხვა საგნის გზამკვლევს. მაკა ტუკვაძის თქმით, სკოლაში დაწყებით საფეხურზე დამატებით ისწავლებოდა ჭადრაკი, კალიგრაფია და ცეკვა , ხოლო საშუალო საფეხურზე ისტორია, მათემატიკა და ქართული ენა და ლიტერატურა. საბაზო საფეხურის მოსწავლეებისთვის პრიორიტეტული იყო საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, ამიტომ სკოლაში ფუნქციონირებდა ბიოლოგიის წრე, რომელშიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი საბაზო საფეხურის მოსწავლეები.
ექსპერტ, მაკა ტუკვაძის თქმით, წინა ავტორიზაციის დროს ექსპერტთა მიერ გაცემული იყო რეკომენდაცია სკოლის ფართი დაერეგისტრირებინათ რეესტრში. ექსპერტის განმარტებით, მიმდინარე ვიზიტის დროს დაწესებულებას დაკმაყოფილებული ჰქონდა აღნიშნული საკითხი და წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტაცია. მაკა ტუკვაძემ განმარტა, რომ სკოლის შენობა განთავსებული იყო ორ შენობაში. ერთ კორპუსში სწავლობდნენ I-IV კლასის მოსწავლეები, ხოლო მეორე კორპუსში V-XII კლასის მოსწავლეები. დაწესებულებას ჰქონდა სპორტული აქტივობებისთვის დახურული მოედანი და იჯარით აღებული ღია სპორტული მოედანი. აქვე, ექსპერტმა დაამატა, რომ სკოლა აქტიურად იყენებდა ვებ გვერდს, სადაც განთავსებული იყო თითოეული აქტივობა. სკოლის ერთ შენობაში განთავსებული იყო სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო ოთახი და მეორე შენობაში მოწყობილი იყო სამედიცინო კუთხე. ექსპერტის თქმით, სკოლას ჰქონდა სტანდარტების შესაბამისი მატერიალური რესურსი.
ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ განმარტა, რომ სკოლაში დასაქმებული იყო 24 პედაგოგი, რომელთაგან 7 იყო მოწვეული მასწავლებელი, 16 იყო უფროსი მასწავლებლის სტატუსის მქონე, ხოლო 1 მაძიებელი მასწავლებელი. აქვე, ექსპერტმა დაამატა, რომ მასწავლებლებთან დადებული ხელშეკრულებები შრომის კოდექსს არ შეესაბამებოდა. ექსპერტის განმარტებით, მოცემული საკითხი სკოლამ გაითვალისწინა და ვიზიტის პერიოდში გამოასწორა.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტთან და სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ, იკითხა პარალელური კლასებისა და კლასში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობის შესახებ.
დაწესებულების წარმომადგენლის, ნუგზარ მაისურაძის თქმით, სკოლაში პარალელური კლასები არ არსებობდა და კლასებში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა იყო 17.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ, დააზუსტა სკოლის წარმომადგენელთან, სკოლაში გადმოსული ახალი მოსწავლის მშობელს შეეძლო თუ არა სკოლის სათათბიროს დისციპლინარულ და სააპელაციო კომიტეტში მონაწილეობის მიღება.

სკოლის წარმომადგენელმა, ნუგზარ მაისურაძემ, განმარტა, რომ ახალი მოსწავლის მშობელს შეეძლო ინიციატივით შესულიყო სკოლის სათათბიროში, მაგრამ მონაწილეობის მიღების უფლება არ ჰქონდა.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ, ექსპერტ, მაკა ტუკვაძეს მიმართა კითხვით, თუ ჰქონდა სკოლას შეთანხმებული უსაფრთხოების წესი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.
ექსპერტ, მაკა ტუკვაძის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფმა მატერიალურად ნახა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გაგზავნილი შესაბამისი წერილი.
საბჭოს წევრი, ზვიად გოგუაძე, დაინტერესდა მოწვეული მასწავლებლების საათობრივი დატვირთვით. ექსპერტის თქმით, მოწვეული მასწავლებლების საათობრივი დატვირთვა შეესაბამებოდა კანონს ზოგადი განათლების შესახებ.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ, კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, დისტანციური სწავლების რა მექანიზმებს იყენებდნენ სკოლაში. დაწესებულების წარმომადგენლმა, ნუგზარ მაისურაძემ განმარტა, რომ სკოლაში სწავლება შესაძლებელი იყო ჰიბრიდულ რეჟიმში. მოსწავლეს შეეძლო გაკვეთილს დასწრებოდა ონლაინ პლატფორმის საშუალებით. მისი თქმით, დისტანციური სწავლების ცხრილი წინასწარ იყო შედგენილი.
საბჭოს წევრი, თამარ მამსიკაშვილი, დაინტერესდა, სკოლის ექიმს ჰქონდა თუ არა საექიმო საქმიანობის წარმართვის უფლება. ექსპერტ, მაკა ტუკვაძის თქმით, სკოლას ჰყავდა 2 ექიმი, რომელთაგან ერთს ჰქონდა ექიმის კვალიფიკაცია, ხოლო მეორე იყო ექთანი.
საბჭოს წევრი, თამარ მამსიკაშვილი დაინტერესდა შაბათის სკოლა და კალიგრაფიის კონკურსში მონაწილეობა წარმოადგენდა თუ არა ფასიან მომსახურეობას. დაწესებულების წარმომადგენლის, ნუგზარ მაისურაძის თქმით, კალიგრაფიის კონკურსში მონაწილეობა იყო უფასო ნებისმიერი მოსწავლისთვის. შაბათის სკოლა კი იყო სსიპ - ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის N199 საჯარო სკოლასთან თანამშრომლობით გახსნილი და მოსწავლეები გადასახადს იხდიდნენ სსიპ ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის N199 საჯარო სკოლის ანგარიშზე.
საბჭოს წევრმა, ნატო გაბოშვილმა, იკითხა, თუ რამდენად მოწესრიგებული იყო სკოლის პერსონალის ხელშეკრულებები. ექსპერტ მაკა ტუკვაძის განმარტებით, ვიზიტის პერიოდში დაფიქსირებული იყო გარკვეული ხარვეზები ხელშეკრულებებში. დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდშივე გამოასწორა და გააფორმა ახალი ხელშეკრულებები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ კითხვები დაწესებულებასთან.
საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს, წარმოედგინათ შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდათ განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 200 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 17 აგვისტოს N58 გადაწყვეტილებით სკოლას ავტორიზაცია მიენიჭა 2016 წლის 17 აგვისტოდან 6 წლის ვადით. აღნიშნულის შესაბამისად, სკოლა შუამდგომლობდა საბჭოსთან, ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2022 წლის 17 აგვისტოდან.
საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ლაზარეს ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 200- ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-7 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს ლაზარეს (ს/კ: 216358242) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 200-ით. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2022 წლის 17 აგვისტო. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

2. შპს თბილისის ნიჭიერთა კერძო სკოლა-აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს ჰკითხა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან დაკავშირებით . საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ლელა ჯაშმა და იზაბელა იოსელიანმა. ექსპერტმა, ლელა ჯაშმა განაცხადა, რომ სკოლაში ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 10 და 11 მაისს. მისი თქმით, სკოლა აქტიურად თანამშრომლობდა ექსპერტებთან.

ექსპერტმა, ლელა ჯაშმა აღნიშნა, რომ სასწავლო პროცესის განვითარებაში აქტიურად იყვნენ ჩართული სკოლის ადმინისტრაცია და მასწავლებლები. სკოლაში პერსონალის მოტივაციის ამაღლების მიზნით ფუნქციონირებდა მასწავლებლის შეფასებისა და წახალისების რეიტინგული სისტემა. რეიტინგის სათავეში მყოფ მასწავლებლებს გადაეცემოდათ პერსონალური კომპიუტერი.

ექსპერტმა, ლელა ჯაშმა აღნიშნა, რომ სკოლა იყენებდა საათობრივი ბადის მესამე მოდელს, რომელიც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან არ იყო შეთანხმებული. მისი თქმით, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაცია, დაწესებულებას შეეთანხმებინა საათობრივი ბადის მესამე მოდელი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. ლელა ჯაშის განმარტებით, ვიზიტის პერიოდში სკოლამ გაითვალისწინა აღნიშნული და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან გაგზავნილი შეთანხმების წერილი წარმოადგინა.

ექსპერტის თქმით, სკოლაში ფუნქციონირებდა 5 კათედრა. თითოეული კათედრა ინტენსიურად მუშაობდა საგაკვეთილო პროცესების შედეგების ანგარიშების მომზადებაზე, რადგან ეს ხელს უწყობდა სასწავლო პროცესის დახვეწასა და განვითარებას.

ექსპერტ, ლელა ჯაშის განცხადებით, სკოლას პირველ სართულზე ჰქონდა შიდა სპორტული დარბაზი და სააქტო დარბაზი. საგანმანათლებლო მომსახურებას იღებდა 177 მოსწავლე. ექსპერტის განმარტებით, შინაგანაწესში ფიქსირდებოდა ხარვეზები, რომელიც სკოლაში

მიმდინარე პროცესებთან შესაბამისი არ იყო. ლელა ჯაშის თქმით, ვიზიტის პერიოდში სკოლამ გაითვალისწინა აღნიშნული საკითხი და შეიტანა ცვლილებები შინაგანაწესში. ლელა ჯაშმა აღნიშნა, რომ სკოლის წესდებაში დაფიქსირდა ხარვეზები. ექსპერტის განმარტებით, სკოლამ შეცვალა და წარმოადგინა ახალი წესდება. აქვე, ექსპერტმა დაამატა, რომ თითოეული თანამშრომლის ხელშეკრულება იყო იდენტური. სკოლამ აღნიშნული საკითხი გაითვალისწინა და სტატუსის მიხედვით ხელშეკრულებებში ცვლილებები შეიტანა. ექსპერტის თქმით, სკოლას ჰქონდა დებულება, სადაც დეტალურად იყო ახსნილი თითოეული თანამშრომლის ფუნქცია-მოვალეობები. დაწესებულებას წარმოდგენილი არ ჰქონდა პერსონალის ნასამართლეობის და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენის შესახებ ცნობები. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის პერიოდში დარეგისტრირდა ყველა თანამშრომელი.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან და სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ იკითხა, თუ რატომ იყო სკოლის სახელწოდებაში სიტყვა ნიჭიერი. ექსპერტ, ლელა ჯაშის თქმით, იგივე კითხვა ექსპერტებმაც დაუსვეს დაწესებულების წარმომადგენლებს და მათი განმარტებით სკოლა ცდილობდა აღმოეჩინა თითოეულ მოსწავლეში რაიმე სახის ნიჭი და განევითარებინა ის.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ აღნიშნა, რომ სკოლას მოწესრიგებული ჰქონდა დოკუმენტაცია. კათედრის დოკუმენტაციაში დეტალურად იყო აღწერილი თითოეული საგნის სასწავლო პროცესი. მისი თქმით, თითოეული საგნის ანალიზი და კომპლექსური დავალებები საინტერესო იყო.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ კითხვები დაწესებულებასთან.
საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს, წარმოედგინათ შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდათ განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 400 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის ნიჭიერთა კერძო სკოლა-აკადემიის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 400-ით განსაზღვრის საკითხი.
დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 24 აგვისტოს N67 გადაწყვეტილებით სკოლას ავტორიზაცია მიენიჭა 2016 წლის 24 აგვისტოდან 6 წლის ვადით. აღნიშნულის შესაბამისად, სკოლა შუამდგომლობდა საბჭოსთან, ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2022 წლის 24 აგვისტოდან.

საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“

ქვეპუნქტის, მე-7 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს თბილისის ნიჭიერთა კერძო სკოლა-აკადემიას (ს/კ: 209451573) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 400-ით. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2022 წლის 24 აგვისტო. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

საბჭოს სხდომაზე 15:45 საათზე გამოცხადდა შესვენება.
საბჭოს სხდომა განახლდა 16:05 საათზე

3. შპს კერძო სკოლა ივერონის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს ჰკითხა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან დაკავშირებით . საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ლელა ჯაშმა და ნანა ედიშერაშვილმა. ექსპერტ, ლელა ჯაშის თქმით, დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 3 და 4 მაისს, ნაწილობრივ დისტანციურ ფორმატში. ექსპერტის განმარტებით, ადგილზე ვიზიტით შემოწმდა სკოლის მატერიალური რესურსი, ხოლო ინტერვიუები ჩატარდა სკოლის პერსონალთან დისტანციურ ფორმატში.
ექსპერტ, ლელა ჯაშის თქმით, სკოლას მოწესრიგებული ჰქონდა დოკუმენტაცია და დაწესებულების წარმომადგენლები ცდილობდნენ დაეცვათ ეროვნული სასწავლო გეგმითა და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტებით გათვალისწინებული რეგულაციები. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების დოკუმენტები იყო აკადემიური და შეიცავდა აუცილებელ ინფორმაციას. სკოლას ჰქონდა საათობრივი ბადის მესამე მოდელი, რომელიც შეთანხმებული ჰქონდა განათლებისა და მეცნიერები სამინისტროსთან. აქვე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლა დიდ ყურადღებას უთმობდა უცხოური ენების სწავლებას. მესამე კლასიდან სკოლაში ისწავლებოდა რუსული ენა, მეხუთე კლასიდან იწყებოდა გერმანულის სწავლება, რომელიც მერვე კლასის ჩათვლით გრძელდებოდა. ლელა ჯაშის თქმით, ექსპერტებს გაუჩნდათ კითხვა, თუ რატომ წყდებოდა მერვე კლასის შემდგომ ენის სწავლება. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, მშობლების მოთხოვნა იყო მერვე კლასის შემდგომ არჩევითი ყოფილიყო უცხოური ენა.
ექსპერტ, ლელა ჯაშის თქმით, სკოლა სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობას სთავაზობდა მოსწავლეებს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა წიგნიერებისა და უნარების განვითარებას. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში დიდი სივრცე ბიბლიოთეკას ეთმობოდა, ამიტომაც სკოლაში იგეგმებოდა სხვადასხვა აქტივობა, რომელიც მოსწავლეს წიგნთან აახლოვებდა. ბიბლიოთეკაში განთავსებული იყო კომპიუტერული ტექნიკა, როიალი და სხვა ნივთები. ლელა ჯაშის თქმით, ყველა ნაბიჯი სკოლას შეთანხმებული ჰქონდა

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. მან აღნიშნა, რომ შიდა რეგულაციები წერილობითი სახით თანხმდებოდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, რაც დადებითად მეტყველებდა სკოლაზე. ექსპერტის თქმით, სკოლაში საქმისწარმოება მოწესრიგებული იყო. ექსპერტმა ისაუბრა მატერიალურ რესურსთან დაკავშირებითაც და აღნიშნა, რომ შპს კერძო სკოლა ივერონს დათმობილი ჰქონდა ხელოვნების კოლეჯის ორი სართული, რომელიც 1200 კვ.მ.-ს შეადგენდა. მისი თქმით, სკოლაში იყო კეთილმოწყობილი და მულტიფუნქციური დარბაზი. ლელა ჯაშმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ტარდებოდა სხვადასხვა ტიპის ღონისძიება. მან დაამატა, რომ გაკვეთილები ტარდებოდა გარე სივრცეშიც, შესაბამისად, ეზო შემოღობილი და გამწვანებული იყო.

ექსპერტ, ლელა ჯაშის თქმით, სკოლას ჰყავდა 27 პედაგოგი, რომელთაგან 5 იყო მოწვეული მასწავლებელი, 3 იყო მაძიებელი სტატუსის მქონე, 17 უფროსი მასწავლებლის სტატუსის მქონე და 1 წამყვანი სტატუსის მქონე. ექსპერტმა დაამატა, რომ ყველა ხელშეკრულება შეესაბამებოდა მოქმედ კანონმდებლობას და ხარვეზი დოკუმენტაციასთან დაკავშირებით არ იკვეთებოდა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა მხრიდან გაიცა რამდენიმე რეკომენდაცია სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით. ლელა ჯაშის თქმით, აღნიშნული საკითხები სკოლამ გაითვალისწინა და ვიზიტის პერიოდშივე შინაარსობრივი ნაწილი მოიყვანა სტანდარტთან შესაბამისობაში. ექსპერტმა დაამატა, რომ სველ წერტილებთან დაკავშირებული რეკომენდაცია სკოლას ჰქონდა გათვალისწინებული და წარმოდგენილი ჰქონდა შესაბამისი ფოტო და ვიდეო მასალა.

ექსპერტმა, ნანა ედიშერაშვილმა დაამატა, რომ სკოლას დოკუმენტაცია სრულყოფილად ჰქონდა წარმოდგენილი ელექტრონულად, რამაც ექსპერტებს გაუმარტივა მუშაობის პროცესი. მისი თქმით, დაწესებულება აქტიურად თანამშრომლობდა ექსპერტებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები ექსპერტებთან და დაწესებულების წარმომადგენელთან.

საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ იკითხა, თუ რატომ იყო გაერთიანებული ქართული ენისა და ლიტერატურის და საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა. ექსპერტ, ლელა ჯაშის თქმით, ქართული ენისა და ლიტერატურის და საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის გაერთიანების მიზეზი შესაძლოა ყოფილიყო მასწავლებელთა მცირე რაოდენობა. სკოლაში მხოლოდ 27 მასწავლებელი იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ იკითხა, თუ რამდენი მოსწავლის მიღება შეეძლო სკოლას. ექსპერტმა, ლელა ჯაშმა განაცხადა, რომ თვითშეფასების კითხვარში დაწესებულების მიერ დაფიქსირებული იყო 220 მოსწავლე, თუმცა ვიზიტისას სკოლამ მზაობა განაცხადა 170 მოსწავლის მიღებაზე. სკოლის მხრიდან ამის არგუმენტი გახლდათ ის ფაქტი, რომ მიმდებარე ტერიტორიაზე სხვა ბევრი კერძო სკოლა ფუნქციონირებდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ კითხვები დაწესებულებასთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს, წარმოედგინათ შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდათ განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 170 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კერძო სკოლა ივერონის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 170- ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს კერძო სკოლა ივერონს (ს/კ: 211333305) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 170-ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

4. შპს თამარიონის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს ჰკითხა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან დაკავშირებით . საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ნოდარ ანგურიძემ და მარიამ ხუციშვილმა.
ექსპერტ, ნოდარ ანგურიძის თქმით, სკოლას არ უფიქსირდებოდა ხარვეზები. თუმცა სტანდარტების უკეთ შესაბამისობის მიზნით მათი მხრიდან გაიცა რეკომენდაციები და რჩევები. ექსპერტის თქმით, სკოლის საუკეთესო პრაქტიკა იყო საქველმოქმედო პროექტების განხორციელება.
ექსპერტ, ნოდარ ანგურიძის განცხადებით, სკოლას ჰქონდა საკუთარი შენობა და შესაბამისად მოწყობილი სასწავლო გარემო.
ექსპერტის თქმით, მათი მხრიდან გაიცა რჩევა საათობრივ ბადესთან დაკავშირებით. მისი თქმით, სკოლა წლის დასაწყისში იყენებდა საათობრივი ბადის მესამე მოდელს, რომელიც შეათანხმა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. სემესტრის დასაწყისში სკოლამ შეცვალა საათობრივი ბადე, თუმცა ინფორმაცია არ მიუწოდებია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის. აქვე, ექსპერტმა დაამატა, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით ვიზიტის პერიოდშივე სკოლამ გააგზავნა წერილი განათლების და მეცნიერების სამინისტროში და სკოლამ წარმოადგინა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან მიღებული პასუხი.
ნოდარ ანგურიძემ განაცხადა, რომ შემაჯამებელი დავალების აღდგენის წესთან დაკავშირებით ექსპერტთა მხრიდან ასევე გაიცა რჩევა. ექსპერტის განმარტებით, სხვა სკოლიდან გადმოსულ მოსწავლეს მობილობის პროცესში უნდა აღედგინა შემაჯამებელი დავალება, ხოლო იმავე სკოლის მოსწავლეს სემესტრის ბოლომდე. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მასწავლებლები აღნიშნულის შესახებ არ იყვნენ ინფორმირებული. მისი თქმით, აღნიშნული საკითხი სკოლამ გაითვალისწინა და წარმოადგინა პედსაბჭოს მასალები.

ექსპერტ, ნოდარ ანგურიძის თქმით, ექსპერტთა მხრიდან რჩევა გაიცა კომპლექსური დავალებებისა და თემატური მატრიცების განხორციელებასთან დაკავშირებით. ექსპერტის განმარტებით, სკოლა არ იყო ჩართული მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში, თუმცა მასწავლებლები ინტენსიურად მუშაობდნენ კომპლექსური დავალებების შემუშავებაზე. პედაგოგებს მხოლოდ კომპლექსური დავალებები ჰქონდათ წარმოდგენილი და არ აკეთებდნენ შესაბამის თემატურ მატრიცებსა და კურიკულუმებს.
ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ აღნიშნა, რომ სკოლას ექიმისა და ფსიქოლოგის პოზიციაზე ერთიდაიგივე პირი ჰყავდა. აღნიშნულ საკითხზე ექსპერტთა მხრიდან გაიცა რჩევა ფსიქოლოგის პოზიციაზე გამოეცხადა ვაკანსია, დაწესებულებამ რჩევა გაითვალისწინა და ფსიქოლოგის პოზიციაზე გამოაცხადა ვაკანსია. აქვე, ექსპერტმა დაამატა, რომ კამერებით ვერ კონტროლდებოდა დაწესებულების მცირე ნაწილი. აღნიშნული საკითხი დაწესებულებამ გაითვალისწინა და წარმოადგინა შესაბამისი გასწორებული მასალა.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან და სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტს, თუ რამდენად იყო დაცული სკოლაში მოსწავლეების უსაფრთხოება. ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ განმარტა, რომ სკოლაში დაცული იყო მოსწავლეთა უსაფრთხოება. მისი თქმით, დაწესებულებამ დამატებით შეიძინა კამერები, რათა უკეთ გაეკონტროლებინა სკოლის სივრცე.
სკოლის წარმომადგენელმა დაამატა, რომ სკოლაში შესვენებებზე მასწავლებლები მორიგეობდნენ. მისი თქმით, დაწესებულებაში მოსწავლეთა უსაფრთხოება სრულად იყო დაცული.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ კითხვები დაწესებულებასთან.
საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს, წარმოედგინათ შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდათ განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 650 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 30 აგვისტოს N72 გადაწყვეტილებით სკოლას ავტორიზაცია მიენიჭა 2016 წლის 30 აგვისტოდან 6 წლის ვადით. აღნიშნულის შესაბამისად, სკოლა შუამდგომლობდა საბჭოსთან, ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2022 წლის 30 აგვისტოდან.
საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თამარიონის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 650- ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-7 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შპს თამარიონს

(ს/კ: 200013653) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 650-ით. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2022 წლის 30 აგვისტო. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

5. შპს ვახტანგ ესვანჯიას სახელობის იტალიური სკოლა ცისკარის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს ჰკითხა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან დაკავშირებით . საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრმა, ნატო გაბოშვილმა განაცხადა, რომ აღნიშნული დაწესებულების ავტორიზაციის საკითხის მიმართ მიმართ ჰქონდა თვითაცილება, რადგან მისი ოჯახის წევრი სწავლობდა შპს ვახტანგ ესვანჯიას სახელობის იტალიური სკოლა ცისკარში.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილმა და იზაბელა იოსელიანმა. ექსპერტმა, ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილმა განაცხადა, რომ სკოლაში ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 5 და 6 მაისს. მისი თქმით, სკოლას არცერთ სტანდარტში ხარვეზი არ დაუფიქსირდა. ექსპერტმა, აღნიშნა, რომ სკოლის საუკეთესო პრაქტიკა იყო მაღალი ორგანიზაციული კულტურა და კონსტრუქციული გარემო. დაწესებულებაში ფუნქციონირებდა პედაგოგთა პროფესიული განვითარების ლაბორატორია, რომლის საშუალებითაც იქმნებოდა გზამკვლევები და საგნობრივი კრებულები. აქვე, ექსპერტმა დაამატა, რომ სკოლაში დანერგილი იყო ISO-ს ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტი. სკოლას ჰქონდა სოციალური მხარდაჭერის პროგრამა, რომელიც სკოლის პერსონალისთვის სკოლის ბიუჯეტიდან სახსრების გამოყოფას ითვალისწინებდა.
ექსპერტ, ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილის თქმით, დაწესებულება მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას ითხოვდა 350 მოსწავლეზე, მაგრამ მატერიალური რესურსის დათვალიერების შემდეგ ექსპერტის თქმით აღმოჩნდა, რომ სკოლას 332 მოსწავლისთვის შეეძლო საგანმანათლებლო მომსახურების გაწევა. ექსპერტის განმარტებით, სახელწოდებიდან გამომდინარე სკოლაში გაძლიერებულად ისწავლებოდა იტალიური ენა და ასევე,ინგლისური ენა.
დაწესებულება იყენებდა საათობრივი ბადის მესამე მოდელს, რომელიც შეთანხმებული ჰქონდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.
ექსპერტმა, ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლის ძლიერი მხარე იყო საგნობრივი კათედრების მუშაობა. საგნობრივი ჯგუფების მუშაობას კოორდინაციას უწევდა პროფესიული დახელოვნების ლაბორატორია, რომლის მოვალეობა იყო დაწესებულებაში განეხორციელებინა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები. ექსპერტის განმარტებით,

სკოლაში ფუნქციონირებდა დამატებითი სააღმზრდელო მომსახურება, სადაც მოსწავლეებს სხვადასხვა საგანში უტარდებოდათ გაკვეთილები. ექსპერტის თქმით, სასკოლო სასწავლო გეგმა დაწესებულებას დამტკიცებული ჰქონდა 1 დღის დაგვიანებით და ექსპერტთა მხრიდან სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ დოკუმენტები დადგენილ ვადებში დაემტკიცებინათ.
ექსპერტმა, ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლას მოწესრიგებული ჰქონდა საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორია. სამედიცინო კაბინეტი აკმაყოფილებდა მოთხოვნებს და დაწესებულების ექიმი იყო შესაბამისი კვალიფიკაციის. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლა სწავლებისას აქტიურად იყენებდა თანამედროვე ციფრულ ტექნოლოგიებს. აქვე, ექსპერტმა დაამატა, რომ სკოლას პერსონალთან გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულებები კანონმდებლობის შესაბამისად. ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილის თქმით, დაწესებულებაში იტალიურ ენას ასწავლიდნენ მოწვეული უცხოელი პედაგოგები.
ექსპერტმა, იზაბელა იოსელიანმა დაამატა, რომ სკოლა ორიენტირებული იყო მოსწავლის განვითარებაზე. მისი თქმით, დაწესებულება გამოირჩეოდა პოზიტიური გარემოთი და ლაბორატორიული სწავლების სისტემით. ასევე სკოლა გამოირჩეოდა არაფორმალური განათლების კუთხით განხორციელებული აქტივობებით.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ კითხვები დაწესებულებასთან.
საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს, წარმოედგინათ შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდათ განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 332 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 13 ივლისის N37 გადაწყვეტილებით სკოლას ავტორიზაცია მიენიჭა 2016 წლის 13 ივლისიდან 6 წლის ვადით. აღნიშნულის შესაბამისად, სკოლა შუამდგომლობდა საბჭოსთან, ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2022 წლის 13 ივლისიდან.
საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ვახტანგ ესვანჯიას სახელობის იტალიური სკოლა ცისკარისავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 332- ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-7 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შპს ვახტანგ ესვანჯიას სახელობის იტალიურ სკოლა ცისკარს (ს/კ: 201952743) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა

ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 332-ით. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2022 წლის 13 ივლისი. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 17:05 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა